

## მე-19–20 საუკუნეების თბილისის ურბანული ტრანსფორმაციის ეტაპები

### არქიტექტორი პავლე მინძიბაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის,  
ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, ურბანისტიკის  
მიმართულება. თბილისი, 0171, კოსტავას 71*

*paul\_vda@hotmail.com*

1800 წლიდან მოყოლებული, როცა მისი მოსახლეობა 15 400, ხოლო ფართობი 72 ჰა არ აღემატება, თბილისი თანდათანობით, განუხრელად იწყებს ზრდას.

ქალაქის განვითარება მხოლოდ მისი მიმდებარე ტერიტორიების შემოერთების ხარჯზე ხდება. იგეგმება ქუჩების რეგულარული ქსელი(გარეუბანი, გერმანელების კოლონია, სოლოლაკი). შესაბამისად, იცვლება ახლად აგებულ შენობა-ნაგებობათა გაბარიტები და არქიტექტურული სახე. 1860-იან წლებში, ჯერ ბატონყმობის გაუქმება და შემდეგ აღმოსავლეთ-დასავლეთ სარკინიგზო(ბაქო–ბათუმი) ხაზის გახსნა, ასევე ეკონომიკის მართვის ახალ, ბურჟუაზიულ მეთოდზე გადასვლა მძლავრ იმპულსს აძლევს თბილისის განვითარებას და იმ სამშენებლო ბუმს, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდე ქალაქის განაშენიანებას ხარისხობრივად ახალ საფეხურზე აიყვანს. ამ პერიოდში განიხილება ისეთი პროექტების რეალიზაციის შესაძლებლობა, როგორებიცაა მთაწმინდის პლატოზე ”ახალი ქალაქის”, ევროპული დონის ბალნეოლოგიური კურორტის, თბილისის მიმდებარე ფერდობების გამწვანების, მლაშე ტბების ადგილას დიდი წყალსაცავის, მტკვრის ნაპირების გამაგრების, სანაპიროების აშენება. იგეგმება მტკვარზე რამდენიმე ხიდის აგება.

ჩამოთვლილი (ასევე სხვა) პროექტები მოგვიანებით რეალობად იქცა და მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ქალაქის ფუნქციონირება.

მე-20 საუკუნის დასაწყისში მისი განაშენიანებამ გადალახა აღმოსავლეთ მიჯნა – რკინიგზა. ამ პერიოდში ამოწურულია აქვს ფიზიკური(გეოგრაფიული) განვითარების რესურსი. ძველ საზღვრებში მოქცეული ქალაქის ბირთვმა დაკარგა ცენტრის ფუნქცია და გარკვეულ ეტაპზე მისის განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორად იქცა. 1924 წლიდან მეორე მსოფლიო ომამდე თბილისის აღმშენებლობის პერიოდი სრულიად ახალ განსხვავებულ ეტაპად ყალიბდება (1934 წელს სრულდება თბილისის განვითარების პირველი გენერალური გეგმა ).

1951 წელს, დედაქალაქის მეორე გენერალური გეგმის რეალიზაცია იწყება. მოგვიანებით, ხრუშოვის მმართველობის პერიოდში, ქალაქი ახალი ტერიტორიების ათვისების ხარჯზე ზრდა-განვითარების მეთოდს უბრუნდება.

1970 წელს მტკიცდება თბილისის მე-3 გენერალური გეგმა. 70-იანი წლების ბოლოს იწყება კალაუზნის აღდგენა–რეკონსტრუქციის სამუშაოები. დასაბამი ეძლევა ქალაქის ისტორიული ნაწილის, როგორც ურბანული გარემოს უმნიშვნელოვანესი კომპონენტის პრიორიტეტს.

შენდება რამდენიმე ახალი საცხოვრებელი(გეგმარებითი) რაიონი. 2007 წელს მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ(კომპანია “ანი”– არქიტექტორები) შესრულებული მიწათსარგებლობის (ოპერატიული) გენერალური გეგმის ფარგლებში შეიქმნა ქალაქის განაშენიანებული ტერიტორიების განვითარების ლიმიტირებული არეალი. თბილისის ურბანულმა ნაწილმა თავისი საზღვრები შეიძინა.

## ლიტერატურა

1. ვახტანგ ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება. თბილისი, 1963.
2. ნოდარ ჯანბერიძე. ქართული საბჭოთა არქიტექტურა. თბილისი, 1971.
3. პაატა გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწერა. თბილისი, 1973.
4. თამაზ გერსამია. ძველი თბილისი. თბილისი, 1984.

5. თბილისი. ეკონომიურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. თბილისი, 1989.
6. ურბანისტიკის ევროპული ქარტია. ევროსაბჭო, 1993.
7. თბილისის ურბანული რეაბილიტაციის ძირითადი საკითხები. ხოსე მარია ბალესტერი, დავით ნინიძე. თბილისის, 2001.
8. Н. Бадриашвили. Тбилиси. 1957.
9. Симон Кинцурашвили. Архитектура Советской Грузии. Москва 1974
10. Б.А. Маминаишвили, Развитие общественного центра Тбилиси. Москва 1975ч
11. Тенгиз Квирквелия. Архитектура Тбилиси. Тбилиси, 1982.

## **რეზიუმე**

მოხსენებაში განხილულია XIX-XX საუკუნეების თბილისის ურბანული განვითარების ხარისხობრივად იდენტური და განსხვავებული ეტაპები. აღწერილია ის ქალაქთმშენებლობითი ქმედებები, რომლებმაც განაპირობა თბილისის თანამედროვე სახე. წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა(რუკები, ფოტოები) ინფორმაციული ხასიათისაა. იგი მომხდარის დროში გაწერილ რეალურ სურათს, ასევე შეფასების და დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ბოლო ორი პოზიცია მომავალი შრომის თემატიკაა.

## **Resume**

### **Development Stages of Urban Transformation of XIX-XX Centuries Tbilisi**

There are considered qualitative similar as well as diverse urban development stages of XIX-XX centuries Tbilisi. There are described the city planning measures, which defined modern features of the city. The presented documentary (maps and photos) are of informative nature, which gives opportunity to see happenings in course of time, as well as assessments and conclusions. The ultimate positions are the subject area of the subsequent research.

## Резюме

В докладе рассмотрены качественно идентичные и отличающиеся друг от друга этапы урбанистического развития Тбилиси XIX-XX веков. Описаны те градостроительные мероприятия, которые во многом определили современное лицо города. Представлены текст, карты и фотографии информативного характера. Оценки и заключения, сделанные на основе этих материалов, являются темой дальнейшей работы.

### ურბან-მენეჯმენტის პრობლემები თბილისში

ვ. ვარდოსანიძე

0175, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 77, I კორპუსი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი

[urbia@posta.ge](mailto:urbia@posta.ge)

ტრადიციული, პროექტირება-მშენებლობაზე ორიენტირებული ქალაქის განვითარების უთუო საჭიროების პარალელურად, მთელ მსოფლიოში სულ უფრო მკვიდრდება ქალაქფორმირების სხვა სიბრტყე – ურბან-მენეჯმენტი. დღეს ურბან-მენეჯმენტი მოიაზრება, როგორც ურბანულ სოციალურ-სივრცით გარემოში მიმდინარე ქალაქმაფორმირებელი პროცესების მართვის პრინციპების, მეთოდების, საშუალებებისა და ფორმების ერთობლიობა. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ბოლო ოცწლეულის პრაქტიკა ჯერაც შეფასებული არ არის.

მოხსენება წარმოადგენს ამ ღრეჩოს შევსების მცდელობას. განხილულია სხვადასხვა პერიოდის (პერესტროიკა და პოსტსაბჭოური საქართველო) ურბან-მენეჯმენტის თბილისური პრაქტიკის კონკრეტული მაგალითები. ამ მიზნით გამოიყოფა შემდეგი ეტაპები:

საბჭოეთის დაცემისა და აგონიის პერიოდი (1980-იანი წლების დასასრული);

- სამხედრო ხუნტის ხანმოკლე მმართველობა (1992 წ.);
- ე. შევარდნაძის ათწლიანი ხელისუფლება (1993 – 2003 წწ.);
- “ვარდების რევოლუციის” შემდგომი პერიოდი (2003 წლის შემდეგ).

კონკრეტული თბილისური მაგალითებისა და ურბან-მენეჯმენტის მარეგულირებელი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების ანალიზის საფუძველზე კეთდება დასკვნა, რომ, განურჩევლად პრინციპული იდეურ-პოლიტიკური განსხვავებისა, ყველა ამ ეტაპზე ურბან-მენეჯმენტი ხშირად გამოიყენებოდა წმინდა პოლიტიკური, პოპულისტური მიზნებითაც. ამგვარ მიდგომას თან სდევდა არქიტექტორ-ურბანისტის პროფესიის პროფანაცია, ქალაქური გარემოს ფუნქციონირების შინაგანი კანონზომიერების უგულვებლყოფა, ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილების მიღების უფლების უზურპირება, ჯგუფური და/ან პირადი ინტერესების განხორციელება. ყოველივე ამან დადი დაასვა დღევანდელი თბილისის არქიტექტურულ სახეს, დააქვეითა ურბანული გარემოს ხარისხი.

ამგვარი “გამჭოლი” პროცესის ძირეული მიზეზების ძიებაში ავტორი ასკვნის: ქალაქმა, როგორც სოციალურ-სივრცითმა ფენომენმა, ჯერ ვერ დაიკავა სათანადო ადგილი თანამედროვე ქართულ კულტურაში, ხელისუფალთა პოლიტიკურ პრაქტიკებსა და ჩვენი თანამედროვეობის იდენტურობის სტრუქტურაში.

### ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია (1995).
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997).
3. საქართველოს კანონი “არქიტექტურული საქმიანობის შესახებ” (1998).
4. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის 107 დადგენილება “საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ”.
5. საქართველოს მთავრობის 1992 წლის 4 ივლისის დადგენილება 522 “ვაჭრობის თავისუფლების შესახებ”.

6. ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის # 6-15 გადაწყვეტილება “ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების შესახებ”.
7. საქართველოს რესპუბლიკის კანონი “ზინების პრივატიზების შესახებ” (პროექტი) (1991).
8. Accord on Recommended International Standards of Professionalism in Architectural Practice.
9. The State of the World’s Cities 2004/2005. Globalization and Urban Culture. UN Human Settlement Programme. EARTHSCAN, London, Sterling, VA. 2004, p. 150.

## **Resume**

### **Problems of Urban-Management in Tbilisi**

On the basis of concrete Tbilisi cases and analysis of urban management regulating legislature, the author comes to the conclusion, that regardless principal ideological and political differences during two last decades urban management has been often used for gaining purely political, even populist goals. Such an approach was accompanied by the profanation of the profession of urban planners, usurpation of decision making process, ignoring the immanent regularity of urban environment, realization of personal or group interests. All this factors has been reflected on the architectural image and reduced the quality of urban environment of the present-day Tbilisi.

In searching of the deep reasons of such a “through” process the conclusion is done: City as social-spatial phenomenon on has not taken proper place in contemporary Georgian culture, political practices of authorities and in a structure of identity of our contemporaries yet.

## **Резюме:**

### **Проблемы урбан - менеджмента в Тбилиси**

На основании конкретных тбилисских примеров и анализа законодательно–нормативных актов, регулирующих урбан-менеджмент, автор приходит к выводу, что, несмотря на принципиальные идейно–политические различия, на всех этапах последнего двадцатилетия урбан–

მენეჯმენტს ხშირად იყენებდნენ მხოლოდ პოლიტიკური, პოპულისტური მიზნებისთვის, ხშირად უარყოფითი შედეგით. ასეთი მიდრეკილება იყო მთელი პოსტსაბჭოთაობის პერიოდის მანძილზე, რაც გამოიწვევდა არასასურველ და, ხშირ შემთხვევაში, უარყოფით შედეგს. იხილება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი

## განაშენიანებაში შენობის განთავსებისა და მისი სიმაღლის განსაზღვრის ნორმების შესახებ ლ. ბერიძე\*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი  
თბილისი, 0171, კოსტავას 71*

[leber007@mail.ru](mailto:leber007@mail.ru)

მოხსენების მიზანია ყურადღების გამახვილება ისეთ სერიოზულ პრობლემაზე, როგორცაა არქიტექტურისა და სამშენებლო დარგების თანამედროვე საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტაციით უზრუნველყოფა. დამკვიდრდა მანვე პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო სტრუქტურა ასეთ დოკუმენტებს ამტკიცებს პროფესიონალების საჯარო განხილვის გარეშე და, ხშირად, სპეციალისტების უარყოფითი დასკვნების მიუხედავად. ასეთი ნორმების პრაქტიკაში გამოყენება აუცილებლად გამოიწვევს არასასურველ და, ხშირ შემთხვევაში, უარყოფით შედეგს. იხილება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 8 ივლისის №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი

დებულებები“. დოკუმენტზე მრავალი შენიშვნა არსებობს, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული. ყურადღება გამახვილებულია V თავის იმ ნაწილზე, რომელმაც უნდა დაარეგულიროს განაშენიანებაში შენობა-ნაგებობათა განთავსების პირობები, მათი მაქსიმალური სიმაღლე. ანალიზის შედეგად ხაზგასმულია, რომ ახალი დოკუმენტი არქიტექტორს აიძულებს შექმნას დაპროგრამებული არქიტექტურული სილუეტი და მკვეთრად ზღუდავს არქიტექტურის შემოქმედებით მხარეს, რაც დაუშვებელია და ნორმატიული დოკუმენტის ფუნქციაში არ შედის. ახალ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი ქალაქგეგმარების ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრებზე, როგორიცაა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატივები. უფრო მეტიც, ახალი „დებულების“ დამტკიცებასთან ერთად, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გაუქმებულ იქნა მოქმედი „ბუნებრივი განათებულობის და ინსოლაციის“ ნორმები და ეს მაშინ, როდესაც მსოფლიოში აღიარებულია ინსოლაციისა და განათებულობის ნორმების დაცვის აუცილებლობა, ვინაიდან მოსახლეობის კონსტიტუციური უფლებაა იცხოვროს ჯანმრთელ საცხოვრებელ გარემოში. განხილულია ამ სფეროში მსოფლიოს გამოცდილება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოტანილია შემდეგი დასკვნა:

1. რაც შეიძლება უმოკლეს დროში, აღდგენილ იქნეს „ბუნებრივი განათებულობისა და ინსოლაციის“ ნორმების მოქმედება;
2. წარმოდგენილი სახით ახალი დებულება მიუღებელია შენობის სიმაღლის დადგენის ნაწილში (V თავი) და სერიოზულ კორექტირებას მოითხოვს.

### **ლიტერატურა**

1. არქიტექტურა-პროცესი. საკ-ის პერიოდული გამოცემა, 01.09.2009.
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 08.07.2008წლის №1-1/1254 ბრძანებით დამტკიცებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და „ბუნებრივი განათებულობისა და ინსოლაციის ნორმები“, დამტკიცებული საქ. ურბ.და მშენებლ. მინისტრის 21.10.2001წ.№59 ბრძანებით



და რეგისტრირებული იუსტიციის სამინისტროს მიერ  
(რეგისტრაციის კოდი 330.130.000.11.116.004).

### **რეზიუმე**

ხაზგასმულია არქიტექტურისა და სამშენებლო დარგების თანამედროვე საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტაციით უზრუნველყოფის აუცილებლობა. გაანალიზებული და უარყოფითად შეფასებულია 2008 წლის 8 ივლისს მიღებული „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების“ მე-5 თავი. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, გაუქმებულ იქნა მოქმედი „ბუნებრივი განათებულობის და ინსოლაციის“ ნორმები მაშინ, როდესაც მსოფლიოში აღიარებულია ინსოლაციისა და განათებულობის ნორმების დაცვის აუცილებლობა. გამოტანილია დასკვა: აღდგენილი უნდა იქნეს „ბუნებრივი განათებულობისა და ინსოლაციის“ ნორმების მოქმედება; ახალი დებულება მიუღებელია შენობის სიმაღლის დადგენის ნაწილში.

### **РЕЗЮМЕ**

Отмечается необходимость обеспечения архитектурной и строительной отрасли современной нормативной документацией. Осуждается практика утверждения такой документации при наличии отрицательных отзывов специалистов. Безо всяких обоснований приостановлено действие норм «Естественное освещение и инсоляция», тогда как во всем мире признана необходимость соблюдения этих норм. Отрицательная оценка дана принятому 08.07.2008 документу «Основные положения использования и застройки населенных территорий» (5 глава). Заключение: 1.ВОССТАНОВИТЬ ДЕЙСТВИЕ НОРМ «ЕСТЕСТВЕННОЕ ОСВЕЩЕНИЕ И ИНСОЛЯЦИЯ»; 2.НОВЫЕ «ПОЛОЖЕНИЯ» НЕПРИЕМЛЕМЫ В ЧАСТИ ОПРЕДЕЛЕНИЯ ВЫСОТ ЗДАНИЙ.

## Resume

### Contemporary Problems of Tbilisi Architecture and City-Building

There is marked necessity of maintenance of architectural and building branches is marked by the modern standard documentation. Practice of the statement of such documentation in the presence of negative responses of experts is condemned. Without any substantiated action of norms «Natural Illumination and Insulation» is suspended, whereas necessity of observance the norms all over the world is recognized. The negative estimation is given accepted 08/07/2008., to the document «Substantive provisions of use and building of the territories» (5 head). The conclusion: 1.TO RESTORE ACTION OF NORMS «NATURAL ILLUMINATION AND INSOLATION»; 2.NEW "POSITIONS" ARE UNACCEPTABLE REGARDING DEFINITION OF HEIGHTS OF BUILDINGS.

### ძველი თბილისის შენობათა იდენტიფიკაციის და კლასიფიკაციის შესახებ

კამირეჯიბი

*თბილისი 8, ძმები ზუბალაშვილების 35 koka@geographic.ge*

თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შესრულების პროცესში ერთ-ერთ მთავარ მეთოლოგიურ საკითხად წამოიჭრა, ძეგლებისა და სხვა შენობების სტატუსის დადგენისას, ზუსტი და უნივერსალური კრიტერიუმების შემუშავება, მათი იდენტიფიკაციის და კლასიფიკაციის მიზნით.

ამ მიმართულებით სამუშაოები მიმდინარეობდა როგორც საექსპერტო ჯგუფის ფარგლებში კონსესუსის მიღწევის გზით, ასევე იმ გამოცდილების გამოყენებით, რომელიც დაგროვდა წინა წლებში ჩატარებული ანოლოგიური სამუშაოს ჩატარებისას. სემინარების და კონსულტაციების მთელი სერიის შედეგად

ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა ვერბალური განმარტებები, რომლებიც აღწერდენ იმ კრიტერიუმებს, რომლის საფუძველზე ხდებოდა შემდგომში უძრავი ძეგლების იდენტიფიკაცია და განაშენიანების საერთო სიმრავლის კლასიფიკაცია.

კერძოდ, დადგინდა ის ხარისხობრივი ნიშნები, რომლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა შენობების ისეთი კატეგორიების დადგენა, როგორიცაა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი, ფონური, რიგითი და შეუსაბამო შენობები.

ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე 2008 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა და გამოქვეყნდა თბილისის ძეგლთა სია (1799 ობიექტი, მათ შორის 204 ეროვნული მნიშვნელობის).

მოხსენებაში წარმოდგენილია შეუსაბამო შენობების მაგალითები და ყურადღება გამახვილებულია მათ მიმართ გრძელვადიანი ურბანული პროგრამის შემუშავების შესახებ.

## **რეზიუმე**

წარმოდგენილია თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის დამუშავების პროცესში ექსპერტთა მიერ მიღებული კრიტერიუმები, რომლის საფუძველზე ხდებოდა ძეგლების იდენტიფიკაცია და შენობების საერთო მასის კლასიფიკაცია. ნაჩვენებია შეუსაბამო შენობების მაგალითები.

## **Резюме**

В докладе представлены критерии, на основе которых экспертами производилась идентификация памятников архитектуры и классификация всей массы исторической застройки при выполнении

историко-культурного опорного плана Тбилиси. Показаны примеры зданий, не соответствующих исторической зоне.

## **Resume**

### **On Identification and Classification of Buildings in Old Tbilisi**

There are presented criteria based on which the experts had been identifying monuments and classifying buildings during the development of Tbilisi Historical-Cultural Master Plan. There are presented examples of buildings insufficient to the historical zone.

## **თბილისის ურბანული განვითარების სატრანსპორტო საკითხები**

### **დოქტორანტი გივი შავდია**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურის,  
ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, არქიტექტურისა და  
ქალაქთმშენებლობის (ურბანისტიკის) დეპარტამენტი,  
ურბანული დაგეგმარების მიმართულება  
თბილისი, 0171, კოსტავას 71*

ქალაქის გენერალური გეგმის პროექტი განსაზღვრავს საქალაქო მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების ძირითად მიმართულებებს. ამის საფუძველზე მუშავდებოდა ქალაქის ცალკეული ტერიტორიების დაგეგმარების პროექტები (დღგ და მიშენების პროექტები), ცალკეული დარგების განვითარების სქემები და სხვა...

ქალაქის სამივე გენგეგმის (1934; 1953; 1970წწ.) შედგენილობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სატრანსპორტო საკითხებს. ისინი თავის დროზე საკმაოდ პროფესიულ დონეზე იყო დამუშავებული. ბევრი გადაწყვეტილება ათწლეულების შემდგომ ერთმანეთს

ემთხვევა და ასეთი საინტერესო შემთხვევები ღრმა ანალიზს მოითხოვს.

თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბოლო გენგეგმა 1970 წელს დამტკიცდა (ავტორები: არქ-ბი ი. ჩხენკელი; ა. ჯიბლაძე; გ. ჯაფარიძე; გ. შავდია; ეკონომისტები: ლ. ლორთქიფანიძე; ი. ბოლქვაძე) და აქედან დაწყებული, შემდგომი ათწლეულები, ამ გენგეგმით მიმდინარეობდა როგორც ძველი განაშენიანების რეკონსტრუქცია, ისე ახალი ტერიტორიების ათვისება. ამ გენგეგმიდან დაიწყო თბილისის ისტორიული ნაწილის მეცნიერული გაანალიზება, მისი დაპროექტება და აღდგენა-რეკონსტრუქცია. ამ გენგეგმისათვის ასათვისებელი ტერიტორიების შერჩევისას საავტორო კოლექტივის მიერ შემოთავაზებული იყო რკინიგზის ხაზის გადატანა ქალაქის განაპირა მხარეს. იმ დროს ეს მიუღებლად ჩათვალეს, დღეს კი რეალობად იქცა.

პირველად ჩვენი ქალაქის დაგეგმარებაში სატრანსპორტო მაგისტრალებს მიეცა კლასიფიკაცია მათი ინტენსივობისა და დანიშნულების მიხედვით (ჩქაროსნული, უწყვეტი, საქალაქო, რაიონული). ამ გენგეგმის საფუძველზე დამუშავდა ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების სქემები, მათ შორის მეტროპოლიტენის განვითარებისაც. ასეთი დიდი მოცულობის სამუშაოები სატრანსპორტო მშენებლობაში ჩვენ ქალაქს არასოდეს ჩაუტარებია.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები გარკვეულწილად მოითხოვს, ქალაქგეგმარებითი ახალი ამოცანების გათვალისწინებით, ადრე შემუშავებული ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებების სათანადო გადახედვას. ამავ დროს, ბოლო წლებში ქალაქგეგმარებითი პროექტების ძირითადი პოზიციების გაუთვალისწინებლობის გამო, დაშვებულ იქნა შეცდომები, რომლებიც შეეხება როგორც ტერიტორიების არასწორ გაცემას და შენობათა პრივატიზაციაში დაშვებულ გადახვევას, ისე გენგეგმით დასახულ გარკვეულ ფუნქციურ ზონებში მათთვის სრულიად უცხო ობიექტების გაჩენას. განსაკუთრებით დაზარალდნენ

სატრანსპორტო მაგისტრალები, მოედნები, კვანძები, სარეკრეაციო ზონები – პარკები, სკვერები, ბალები.

ყველასათვის ცნობილია მთავრობის მიერ მიწის ფონდთან დაკავშირებული დადგენილებების შესასრულებლად, ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში თბილისის ზღვის გაღმა ტერიტორიების გაცემა (1500 მ<sup>2</sup>) ნაკვეთებად, მაშინ, როდესაც ქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არ უნდა გაცემულიყო 600 მ<sup>2</sup>-ზე მეტი ნაკვეთები. ტერიტორიები გაცემულია ყოველგვარი დაპროექტების, საინჟინრო, სატრანსპორტო, თბილისის ზღვის სანიტარიული დაცვის ღონისძიებათა და მრავალი სხვა საკითხის გათვალისწინების გარეშე. მრავალი გაცემული მაღალი წნევის გაზსადენის ნაკვეთია ზოლში.

ქალაქის დღევანდელი და მომავალი სატრანსპორტო სქემის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ხერხემალი მტკვრის სანაპირო მაგისტრალურია. ქალაქი ათწლეულების განმავლობაში ინარჩუნებდა ამ ხერხემალს და მის მიმდებარე ტერიტორიებს ქალაქის უმთავრესი მაღალი კლასის სატრანსპორტო არტერიის ჩამოსაყალიბებლად, მომავალში ადგილობრივი გზებისა და ორდონიანი სატრანსპორტო კვანძების მოწყობის იმედით. დიდი თანხების დახარჯვით უამრავი სამუშაო ჩატარდა, რათა ჩრდილოეთიდან შემოსასვლელი გზა დიდ მონაკვეთზე 8-ზოლიანი მაღალი კატეგორიის გზად გადაქცეულიყო.

დღეს ამ მაგისტრალის ჩქაროსნული ზოლები გადაიქცა ბენზინგასამართ სადგურებთან, ავტოსამრეცხაოსა და უსახო სავაჭრო ჯიხურებთან მისადგომ გზებად, მაშინ, როდესაც ეს ობიექტები შეიძლება განთავსებულიყვნენ გენგეგმით გათვალისწინებულ იმ ადგილობრივ გზებზე, რომელთა მშენებლობის დაფინანსებაც სწორედ ამ კერძო ობიექტებიდან მოზიდული თანხებით შეიძლებოდა და ამით გათვალისწინებული იქნებოდა როგორც კერძო, ასევე ქალაქის ინტერესები.

განა შეიძლებოდა აღმაშენებლის ხეივნისა და დილომი – გლდანის შემაერთებელი მაგისტრალის გადაკვეთაზე, ორდონიანი სატრანსპორტო კვანძის ადგილას, ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობა? ცნობილი იყო, რომ ამ ადგილას, ქალაქის ყველა

გენერალური გეგმით (დაწყებული 1934 წლიდან), რთული სატრანსპორტო კვანძი უნდა აშენებულიყო.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, დიდმის ხიდთან, წერეთლის პროსპექტის დასაწყისთან, ხიდის კონსტრუქციაზე აშენდა ბენზინგასამართი სადგური. ქვემოთ ინტენსიური მოძრაობის მაგისტრალი გადის. განა რა მოგება ნახა ქალაქმა ამ ობიექტის მშენებლობით, რომ მსხვილი სატრანსპორტო და სტრატეგიული მნიშვნელობის კვანძი აფეთქებასაშიშ ობიექტად აქცია?

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ორივე მხარეს, “ყაზბეგის” ლუდის ქარხანასთან ლუდის ბარის აშენებით ქალაქის მთავარი სატრანსპორტო არტერია ყველაზე პრიმიტიულ ავტოსადგომზე მანქანებს შორის გასასვლელს ის მსგავს გზად გადაიქცა.

სანაპირო მაგისტრალების გამტარუნარიანობის შემცირება გამოიწვევს მის პარალელურ გზებზე – რუსთაველის, დავით აღმაშენებლის, აკ. წერეთლის გამზირებზე ისედაც რთული სატრანსპორტო სიტუაციების კიდევ უფრო გაუარესებას.

მნიშვნელოვნად შეზღუდა მოძრაობა სანაპიროსა და წერეთლის გამზირზე ბაზრობების განთავსებამ (განსაკუთრებით ელიავას ბაზრობა). ასეთი დიდი ბაზრობები მათთვის საჭირო დიდი ავტოსადგომებით ისედაც გადატვირთულ ცენტრში არ უნდა შენდებოდეს!

სრულიად გაუმართლებელი გადაწყვეტილება იქნა მიღებული უნივერსიტეტის წინ, მოედნის, გმირთა მოედნისა და ფილარმონიის წინა მოედნების შემაერთებელი ავადსახსენებელი “სამკუთხედის” განხორციელებით...

ამ მცდარი გადაწყვეტილების შესაცვლელად იმედი არსებობდა, მაგრამ დღეს ვერეს ხევში და გმირთა მოედანზე განვითარებული მშენებლობით, ეს იმედიც ჩაკვდა (თუმცა მაინც არის იმედი, რომ შესაძლოა აშენებული კვანძი გადაკეთდება ახალ კვანძად “სამკუთხედის” გარეშე).

დღემდე დამუშავებული ქალაქის 1970–2000წწ. განვითარების გენგეგმით და კომპლექსური სატრანსპორტო სქემით ქალაქის სატრანსპორტო სქემის ძირითად კარკასს წარმოადგენდა მდ. მტკვრის პარალელურად დაპროექტებული 3 გრძივი ჩქაროსნული მაგისტრალი და მათი გამაერთიანებელი ერთი უწყვეტი

მომრაობის მაგისტრალი, დაპროექტებული თბილისის ზღვის გაღმა.

ამ სამუშაოთა ძირითადი მოთხოვნები ქალაქში პირველი რიგის სატრანსპორტო მშენებლობისადმი კვლავ აქტუალურია: გრძივი სატრანსპორტო მაგისტრალების ხარისხობრივი სრულყოფა, სანაპიროების ცალმხრივ მოძრაობაზე გადასვლისათვის მზადება, კახეთის გზატკეცილის ქალაქის ცენტრისკენ გაგრძელება, ქალაქის სატრანსპორტო სისტემაში განივი მაგისტრალების მშენებლობა. ყველაზე მნიშვნელოვანია “საბურთალო – დიდუბე – ლოტკინის მთა – თბილისის ზღვის” განივი კავშირი რკინიგზის თავზე ესტაკადის მშენებლობით;

ვაკის და ვერის სატრანსპორტო სისტემის გააზრება (ორდონიანი კვანძი უნივერსიტეტის წინ, ელბაქიძის დაღმართის, ფილარმონიის კვანძის კავშირი და სხვა).

გრძივი მიმართულებით მაგისტრალის მშენებლობის კონცეფცია აეროპორტიდან მცხეთამდე (დამუშავებული “თბილქალაქპროექტის” მიერ) ქალაქის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულ იქნა 2007 წელს. ჩატარდა ტენდერი, თუმცა შემდგომი განვითარება აღარ მოჰყოლია.

წერეთლის გამზირის და დადიანის ქუჩის შემაერთებელი მაგისტრალი (რკინიგზის თავზე ესტაკადით) მნიშვნელოვნად განტვირთავს ბაზრობებისა და ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიებს. მისი მშენებლობა დაიწყო (110 მ ესტაკადა აშენებულია), თუმცა შემდგომ შეჩერდა.

მნიშვნელოვანია თბილისის ზღვის გაღმა ქალაქის გარსშემოსავლელი სატრანსპორტო მაგისტრალისა და რკინიგზის ხაზის მშენებლობის საკითხის გააზრება... რკინიგზის ხაზი თბილისის ზღვის ნაპირიდან მნიშვნელოვნად უნდა იყოს დაშორებული (4,5 კმ-ით). მიუხედავად მისი დიდი ღირებულებისა, უშუალოდ ზღვასთან მისი გატარება (როგორც დღეს სიიაფის გამო ბევრს მოსწონს), აუნაზღაურებელ ზარალს მოგვიტანს (ეკოლოგიურს, ქალაქგეგმარებითს, ეკონომიკურს და სხვა).



ქალაქის სატრანსპორტო საკითხების გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების განთავსების პრობლემა.

ქალაქის დაგეგმარებაზე მრავალწლიანი მუშაობის შედეგად დაგროვდა ქალაქის ცალკეული ობიექტების დაგეგმარების მთელი რიგი საპროექტო წინადადებები, რომლებიც ქალაქს დიდი ხანია უნდა განეხორციელებინა.

სამწუხაროდ, დღეს ქალაქს არ აქვს კომპლექსურად გააზრებული სრულყოფილი საპროგრამო ქალაქგეგმარებითი დოკუმენტი, საქალაქო მეურნეობის ყველა დარგის განხილვით (ეკონომიკა, ტრანსპორტი, საინჟინრო ინფრასტრუქტურა და სხვა). იგი იქნებოდა წინაპირობა ქალაქის ცალკეული ნაწილების, შემდგომი ქალაქგეგმარებითი საპროექტო სტადიების დამუშავებისათვის, ცალკეული ქალაქგეგმარებითი საკითხების გადაწყვეტისათვის (ბაზრობათა განთავსება, სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა, მიწისქვეშა სივრცეების ათვისება, ავტოსადგომების განთავსება, ინვესტორთა მოსაზიდად სატენდერო ობიექტების გამოვლენა, სარეზერვო საცხოვრებელი ფონდის შექმნა და სხვა).

ეს საკითხები უნდა აისახებოდეს საქალაქო ბიუჯეტით შესასრულებელ საპროექტო-სადიებო სამუშაოთა ყოველწლიურ გეგმებში, რომელთა შინაარსი და განხორციელების გზები დიდ დახვეწას მოითხოვს. დიდ კორექტივს მოითხოვს დაპროექტებაზე ტენდერების გამოცხადების წესი, რაც ხელს არ უწყობს პროფესიონალი შემოქმედი პოტენციალის გამოვლენას.

ბოლო ხანებში მიღებული დოკუმენტი – ქალაქის გენერალური გეგმის პროექტი ქალაქის თანამედროვე დონეზე განვითარების საჭირო მოთხოვნებს ვერ პასუხობს. უახლოესი წლებისათვის მიღებულმა გათვლებმა დიდ ქალაქგეგმარებით შეცდომებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

ამგვარად, აუცილებელია ქალაქის განვითარების ძირითადი კომპლექსურად გააზრებული ქალაქგეგმარებითი დოკუმენტის შექმნა.

ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის გარდამავალი პერიოდის რთულ ვითარებას,

ქალაქგეგმარებაში ნეგატიული პროცესების თავიდან ასაცილებლად, ქალაქის გენგეგმაზე მუშაობის პარალელურად მისი ცალკეული შემადგენელი ნაწილები ყოველდღიურ ზრუნვას მოითხოვს.

ეს შეეხება ქალაქის სატრანსპორტო და საინჟინრო მომსახურებას, ქალაქის ცალკეული ელემენტების დაგეგმარებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღებას და სხვა.

## რეზიუმე

მოხსენება ეძღვნება ქალაქის ურბანული განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას – სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას.

განხილულია სატრანსპორტო ასპექტების ძირითადი დებულებები თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების 1934, 1953, 1970 წლების გენერალური გეგმების პროექტებში. დეტალურადაა განხილული 1970 წლის გეგმის სატრანსპორტო საკითხები და მის საფუძველზე დამუშავებული `ქალაქის კომპლექსური სატრანსპორტო სქემა`; ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებების რეალიზაცია; დაშვებული შეცდომები; გადახვევები გენგეგმის პროექტის გადაწყვეტილებიდან.

მოცემულია მოსაზრება დღევანდელი სატრანსპორტო დაგეგმარების, მშენებლობის და, პირველ რიგში, ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ.

მოხსენებას ერთვის საილუსტრაციო მასალა.

## Резюме

Доклад посвящен одной из важнейших градостроительных проблем - развитию транспортной инфраструктуры города. Рассмотрены основные положения транспортных аспектов проектов генеральных планов реконструкции и развития г. Тбилиси 1934, 1953, 1970-ых годов. Детально рассмотрены транспортные вопросы генплана 1970-го года и разработанные на его основе «Комплексная транспортная

схема города», реализация градостроительных решений, допущенные ошибки, отклонения от проектных решений генплана.

Даны соображения и рекомендации о сегодняшней транспортной планировке, строительстве и мероприятиях, намечаемых на первую очередь. К докладу прилагается иллюстративный материал.

## Resume

### Transport Problems of Tbilisi Urban Development

The report is dedicated to one of the most important problems of urban development – development of transport infrastructure.

The basic resolutions on transport aspects in 1934, 1953, 1970 general plan projects of Tbilisi reconstruction and development are considered. Transport problems given in 1970 plan and “complex transport diagram of the city”; realization of city building decision; the errors committed; deviations from general plan project decisions worked out on its basis are considered in detail.

The observations about contemporary transport planning, construction and the measures to be taken in the first place are presented.

The report is supplemented with illustration material.

## ლოგოტი თბილისში

*მ. მილაშვილი\*. არქიტექტურის დოქტორი, სტუ-ის  
სრული პროფესორი,  
ვ. მჭედლიშვილი არქიტექტორი, სტუ-ის უფროსი  
მასწავლებელი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არიტექტურისა და  
ქალაქთმშენებლობის /ურბანისტიკის/ დეპარტამენტი, 0171,  
თბილისი, მ.კოსტავას 77, ელ-ფოსტა: amv59@mail.ru*

ბოლო წლებში აქტუალური გახდა უძრავი ქონების ბაზარზე გამოჩენილი არასაცხოვრებელი დანიშნულების მქონე შენობების და ინტერიერების საცხოვრებელი დანიშნულებით ადაპტირების შესაძლებლობის საკითხი, რომლის ერთ-ერთ საინტერესო

ვარიანტად შესაძლებელია შემოთავაზებული იქნეს ინტერიერის ისეთი სტილი, როგორცაა ლოფტი.

სპეციალისტებისათვის საყურადღებოა ლოფტი-ს წარმოშობისა და განვითარების ისტორია, წინაპირობა და დამახასიათებელი თავისებურებები, ინტერიერის სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურა, ამ სტილის ფორმირების მატერიალურ-ტექნიკური თუ მხატვრულ-დეკორატიული საშუალებები.

loft - ინგლისური სიტყვაა და "სხვენს" ნიშნავს. "ლოფტი", როგორც სტილი წმინდა ამერიკული წარმოშობისაა და სათავეს ფაბრიკა-საწარმოების, საამქროების, საწყობებისა და სახელოსნო ნაგებობებიდან იღებს, ე.ი წინა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოციან წლებში მანჰეტენის საწარმოო რაიონებში ძველი, მიტოვებული მანუფაქტურული საამქროების სათავსების საცხოვრებლად გამოყენების იდეა გაჩნდა.

ძველ, "ინდუსტრიული წარსულის" მქონე შენობებს ყურადღება პირველებმა, შემოქმედებითი ბოჰემის წარმომადგენლებმა მიაქციეს, რომელთაც სახელოსნოებისათვის დიდი სივრცეები ესაჭიროებოდათ, სადაც ისინი ერთდროულად იმუშავებდნენ და იცხოვრებდნენ კიდევ.

პირველი ცნობილი დიზაინერი, რომელმაც აქტიურად დაიწყო ყოფილი ინდუსტრიული შენობების ინტერიერებში ლოფტ-ინტერიერების" შემოტანა - ენდი უორხოლი იყო, თვითონაც მანჰეტენზე, 47-ე აღმოსავლეთ ავენიუზე, ლოფტ-ინტერიერში ცხოვრობდა.

ლოფტი ევროპაში, 60-იან წლებში, ქალაქების აღორძინების პროგრამებთან ერთად გავრცელდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა. მან საკმაოდ მომგებიან ბიზნეს დაუდო სათავე. ევროპელმა დეველოპერებმა გააცნობიერეს ასეთი ფართობის სამომავლო მომგებიანობა, მასიურად დაიწყეს მათი იაფად შესყიდვა, გადაკეთება და შემდეგ მდიდარ მყიდველებზე ძვირად გაყიდვა.

არსებობს აზრი, რომ "ფაბრიკული" საცხოვრებელის - თავისი გამომწვევი არასტანდარტულობა, არისტოკრატიული შებოჭილობისა და ცხოვრების ერთგვარად "არაბუნებრივი" სტილის თავისებური უარყოფა - პროტესტია, უშუალობისა და

თავისუფლების სასარგებლოდ. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს მიზეზი განაპირობებდა ამ პროდუქტის ასეთ მსოფლიო პოპულარობას.

ლოფტი, როგორც ინტერიერის სტილი, შედარებით ახალგაზრდაა და ძველი, აგურით ნაშენი მანუფაქტურების, საწყობების, ფაბრიკების თუ სკოლების შენობების უზარმაზარი, რამდენიმე ასეული თუ ათასი კვადრატული მეტრის, მაღალჭერიანი, დიდი და ფართოფანჯრებიანი არასაცხოვრებელი ფართობების, შიგა ტიხრების მოწყობის გარეშე საცხოვრებელ სივრცედ გარდასახვას ითვალისწინებს.

ლოფტ-ინტერიერებში "ინდუსტრიული წარსულის" სხვადასხვა ელემენტები და დეტალები (საინჟინრო კომუნიკაციები, ლითონის კოჭები, კონსტრუქციები, მილები, საყრდენები, დაუმუშავებელი აგურის და ბეტონის კედლები) თითქმის ხელუხლებლადაა დატოვებული, რითაც იქმნება საცხოვრებლის უჩვეულო, არასტანდარტული, განსაკუთრებული, "ფაბრიკული" ხასიათის ინტერიერი, სადაც საოცრად ბევრი სივრცა, რაც თვითგამოსახვის შეუზღუდავ შესაძლებლობებს იძლევა.

ლოფტ-ინტერიერის შექმნის იდეური გასაღები მაქსიმალურად დიდი სივრცის შეგრძნების შექმნასა და ძველისა და ახლის ურთიერთმორგებაში მდგომარეობს.

ინდუსტრიული შენობების საცხოვრებლად გამოყენება სივრცის ორგანიზების ახლებურ მიდგომას მოითხოვს, რის შედეგადაც შესაძლებელია ჩამოყალიბდეს განსხვავებული სტრუქტურისა და გეგმარების მქონე შიგა სივრცე, იგი ერთიან მოცულობას უნდა წარმოადგენდეს, სადაც დამხმარე სათავსების, სანკვანძებისა და სამინებელი ოთახების გარდა იზოლირებული სათავსები პრაქტიკულად არ არსებობს. ლოფტ-ინტერიერებში ერთმანეთის გვერდით ჰარმონიულად უნდა თანარსებობდნენ თანამედროვე და ძველი მასალები, ახალი და გაცრეცილი ფაქტურები – ლითონი და მინა, ხე და აგური.

ლოფტ-ინტერიერებს განსაკუთრებულ ფასს ადებს მათი "ინდუსტრიული წარსულიდან" შემორჩენილი დეტალები – ღია დატოვებული მილები, სავენტილაციო და სხვადასხვა

საინჟინრო გაყვანილობები, რომლებიც ბინის თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობისა თუ ძველებური ნივთების ესთეტიკის აღსაქმელად, კედლებთან, ჭერთან და იატაკთან ერთად, მთლიანობაში, განსაკუთრებულ და მოკრძალებულ ფონს ქმნის.

ლოფტ-ინტერიერებს საინტერესო, ინდივიდუალურ და „პიროვნულ“ ხასიათს მიაწიებს დეკორში ეთნიკური და ძველებური ნივთების გამოყენება.

ლოფტ-ინტერიერებში დიდი და თავისუფალი სივრცეების შესანარჩუნებლად ავეჯი მინიმალური და ამავე დროს მობილური უნდა იყოს. ამავე დროს, სხვადასხვა ზომის და ფერის დივნების, სავარძლების თუ პუფების საშუალებით შესაძლებელი უნდა იქნეს მოხერხებული და კომფორტული დასასვენებელი ადგილების მოწყობა.

გახსნილი გეგმარებითი სტრუქტურის მქონე ინტერიერში ავეჯს, როგორც წესი, თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, დამატებითი ფუნქციებიც აკისრია. იგი გარკვეული ფუნქციური ზონების განმსაზღვრელი და ინტერიერის მხატვრული ხასიათის შექმნის ერთგვარ მატერიალური საშუალებაცაა.

ლოფტი, რა თქმა უნდა, იდეალურია ქალაქის ცენტრებში არსებული ყოფილი ფაბრიკა-ქარხნების შენობების ინტერიერების თავისუფალი გეგმარების მქონე საცხოვრებელ აპარტამენტებად გარდასაქმნელად, თუმცა ის, როგორც ინტერიერის სტილი, შესაძლებელია, ქალაქგარეთ კომპაქტური სახლების ინტერიერებშიც წარმატებით იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, შესაძლებელია, რომ ლოფტ-ინტერიერები, რომელთა ფართობები რამდენიმე ასეულ კვადრატულ მეტრს შეადგენს, გამოყენებულ იქნეს არა მარტო საცხოვრებლად, არამედ მოეწყოს შერეული დანიშნულების ისეთი ფუნქციური სივრცეები, როგორცაა: ბინა-ბიურო, ბინა-ატელიე, ბინა-შემოქმედებითი სტუდია, ბინა-გალერეა და სხვა.

## ლიტერატურა

1. [www.designerpreviews.com](http://www.designerpreviews.com)
2. [www.chicagoЧердаки](http://www.chicagoЧердаки).
3. <http://www.InteriorDesignA-Z.com>

## რეზიუმე

განხილულია თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე ბოლო წლებში გამოჩენილი არასაცხოვრებელი დანიშნულების მქონე შენობებისა და ინტერიერების საცხოვრებელი დანიშნულებით ადაპტირების შესაძლებლობის საკითხი, რომლის ერთ-ერთ საინტერესო ვარიანტად შემოთავაზებულია ინტერიერის სტილი ლოფტი.

აღწერილია ლოფტის სტილის წარმოშობისა და განვითარების პირობები. ჩამოყალიბებულია ლოფტ-ინტერიერების დამახასიათებელი თავისებურებები, მათი სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურა, ფორმირების მატერიალურ-ტექნიკური, მხატვრული და დეკორატიული საშუალებები.

### Resume:

### ”Loft” in Tbilisi

There is considered the possibility of the adaptation for residential buildings and interiors of non-residential purposes, which appeared recently in the Tbilisi real estate market, for which is offered one of the most interesting options for interior - style "loft".

There are reviewed in details conditions of appearance and development of style "loft".

There are formulated the characteristics of a “loft” interior design and space-engineered structure, material and technical, artistic and decorative possibilities of formation.

## РЕЗЮМЕ

В докладе рассмотрен вопрос о возможности адаптации для жилого назначения зданий и интерьеров нежилого назначения, появившихся в последнее время на тбилисском рынке недвижимости, для осуществления которого предложен один из интересных вариантов интерьерного стиля “лофт”.

В докладе детально рассмотрены условия возникновения и развития стиля “лофт”.

Сформулированы характерные свойства “лофт” интерьеров и их пространственно-планировочные структуры, материально-технические, художественные и декоративные возможности формирования.

### თბილისის ქალაქგეგმარებით-ეკოლოგიური პრობლემატიკის სისტემატიზაცია და ანალიზი

#### მ. სალუქვაძე

*ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახური  
თბილისი, 0160, ქ. შარტავას 7, ქ. თბილისის მერია,*

გლობალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყოვლისმომცველი სამოქმედო პროგრამა „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“ (Agenda 21) - მოგვიწოდებს მდგრადი განვითარების ფუნდამენტური პრინციპებითა და ამოცანებით ხელმძღვანელობას. მათ შორის განიხილება მსხვილი ქალაქების ეკოლოგიური ოპტიმიზაცია, რაც ქალაქგეგმარების, არქიტექტურის და მშენებლობის ეკოლოგიის პრიორიტეტულობას აღიარებს.



ამ კონტექსტში განვიხილავთ თბილისის „მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმას“, რომელშიც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ქალაქის ბუნებრივ-კლიმატური პირობებისა და რესურსების, ეკოლოგიურ-სანიტარიული ფაქტორებისა და არსებული ბუნებრივი კომპლექსის ანალიზსა და შესაბამისი დასკვნების შემუშავებას.

„ცოდნათა ბაზაზე“ და ცალკეული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით და განზოგადებით, თბილისის გენგეგმაზე მომუშავე ეკოლოგებმა გამოვყავით ის ძირითადი ეკოლოგიური ხასიათის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული თბილისის ურბანული განვითარების პროცესში. ქალაქის განვითარების განმსაზღვრელ ძირითად დადებით ფაქტორებად მიჩნეულ იქნა: შთამბეჭდავი საქალაქო ლანდშაფტი და ჰიდროგრაფიული ქსელი, გარემომცველი ბუნება, კეთილმყოფელი მიკროკლიმატი, ადგილობრივი მთა-ხეობების ქარები, რომლებსაც ქალაქის აერაციაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვთ, ბუნებრივი ლანდშაფტისა და სხვადასხვა პერიოდის არქიტექტურული ნიმუშების ჰარმონიული ერთიანობა ქალაქის ცენტრში. ამავე დროს, თბილისის დღევანდელ მდგომარეობას ახასიათებს მთელი რიგი პრობლემური საკითხები, რომელთაც განეკუთვნება: დედაქალაქში გამწვანებული ტერიტორიების მწვავე დეფიციტი, გამწვანება-განაშენიანების ერთიანი სისტემის (ურბოფიტოსისტემის) კონცეფციისა და გეგმის არარსებობა, თბილისის გარეუბანში, მიმდინარე და დაგეგმილი სამშენებლო ექსპანსია, ქალაქის ატმოსფერული ჰაერის, მდ. მტკვრის, მცირე მდინარეებისა და ბუნებრივი წყალსატევების, ნიადაგის

დაბინძურება, თბილისში გარემოს მდგომარეობაზე კონტროლისა და მონიტორინგის ქსელის მოშლა, სამრეწველო ზონებში, გარემოს დამაბინძურებელი საწარმოების უშუალო სიახლოვეს, საცხოვრებელი და შერეული ფუნქციური ზონების გაჩენა, გაუქმებული სანიტარიულ-დამცავი ზონების გაუთვალისწინებლობის პირობებში მყარი საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სამშენებლო ნარჩენების შეგროვების, სელექციის, გატანისა და გადამუშავება-უტილიზაციის საკითხი და სხვ.

აღნიშნული მკაფიოდ მიუთითებს, რომ თბილისის მდგრადი განვითარების მისაღწევად აუცილებელია გარემოს დაცვა გახდეს პრიორიტეტულ მოთხოვნად და არ განიხილებოდეს გენერალური გეგმისგან მოწყვეტით. ძირითად მოთხოვნებად, რომლებიც თბილისის ურბანული, ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემებს შეეხება, შესაძლებელია განვიხილოთ: 1. ქალაქში არსებული ბუნებრივი გარემოს ფრაგმენტების მაქსიმალური შენარჩუნება; 2. იმ მავნე ზემოქმედების კერების „ჩაქრობა“, რომლებიც ხელს უშლს ქალაქის ეკოსისტემის მდგრადობას; 3. ტერიტორიების ეკოლოგიური დანაკარგების აღდგენის ფუნქციის განხორციელება საქალაქო სისტემის ყველა დონეზე.

თბილისში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი ცხადყოფს, რომ დღეს, მიუხედავად ახალი გენერალური გეგმის მოქმედებისა, მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, ქალაქი არც ინსტიტუციური, არც საკანონმდებლო და არც მართვისა და ადმინისტრირების კუთხით არ არის მზად ეფექტურად განახორციელოს გარემოს გაუმჯობესების კომპლექსურ და დაბალანსებულ გადაწყვეტაზე

დაფუძნებული ქალაქთმშენებლობითი სტრატეგია. შექმნილი მდგომარეობა რეალურად ქმნის იმის საშიშროებას, რომ თბილისის განვითარების ახალი გენერალური გეგმა შესაძლოა ვერ გახდეს ის ძირითადი და სავალდებულო „კონსტიტუციური“ დოკუმენტი, რომელმაც უნდა იტვირთოს დედაქალაქის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და საცხოვრებლად უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა.

მოხსენებაში წარმოდგენილია მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ კონკრეტულ ღონისძიებათა ნუსხა.

### ლიტერატურა

1. გ. სალუქვაძე. ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია. თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2007.

2. მ. სალუქვაძე. თბილისის გარემოს დაცვითი პრობლემა. სტატია ნაშრომში (დანართი 3) „ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის დაგეგმარების მონიტორინგი და მიმდინარე ვითარებაში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების ძირითადი მიმართულებები,“ 2006.

[იხ. [http://urban.tbilisi.gov.ge/pdf/Documents/genproeqti\\_monitoringi.pdf](http://urban.tbilisi.gov.ge/pdf/Documents/genproeqti_monitoringi.pdf)]

3. შ. სიღამონიძე, ვ. ნეიძე, ვ. კაჭარავა, თ. ჩაჩუა. თბილისის ეკოლოგიური პრობლემები (სტატიათა კრებული). თბილისი: „ლიეგა“, 2002.

4. თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა (განმარტებითი ბარათი). თბილისი, 2008.
5. Agenda 21. UN Department of Economic and Social Affairs. Division for Sustainable Development.  
[იხ. [http://www.un.org/esa/dsd/agenda21/res\\_agenda21\\_00.shtml](http://www.un.org/esa/dsd/agenda21/res_agenda21_00.shtml)]
6. Владимирова, В.В.. Расселение и экология. М. : Стройиздат, 1996

### **რეზიუმე**

ყურადღება გამახვილებულია იმ უარყოფით ფაქტორებსა და პრობლემებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად აფერხებს დედაქალაქის გარემოს გაუმჯობესების კომპლექსურ და დაბალანსებულ გადაწყვეტაზე დაფუძნებულ ქალაქთმშენებლობითი სტრატეგიის განხორციელებას. წარმოდგენილია მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის გადაუდებლად აუცილებელი კონკრეტული ღონისძიებათა ნუსხა.

### **Резюме**

В докладе «Систематизация и анализ градопланировочно-экологической проблематики Тбилиси» автор, который работал над новым Генеральным планом развития г.Тбилиси и имеет многолетний опыт работы в сфере урбаноэкологии, большое внимание уделяет анализу тех негативных факторов и проблем, которые значительно мешают реализации градостроительной стратегии, основанной на комплексном и сбалансированном решении улучшения окружающей среды столицы. В докладе содержится перечень тех неотлагательных конкретных мер и мероприятий, реализация которых улучшит общее состояние в этой сфере.

## Resume

### Systematization and Analysis of Tbilisi City-Projection Ecological Problems

The author of the report – “Systemization and analyze of Tbilisi’s municipality- arrangement and ecological complexity”, who has many year experience in the field of urban ecology and was personally participating in the formation of the General plan of Tbilisi development, pays his attention on those negative factors and problems, that significantly inhibit the implementation of the complex and balanced strategy, which ensures the development of Tbilisi’s general environment. Report presents the list of highly necessary preparations needed for improvement the previously mentioned situation in capital city.

**ურბანული განვითარების ობიექტებზე გარემოს  
ენერგეტიკული ზემოქმედების ამსახველი  
ალგორითმები  
(გეომეტრიული გარდაქმნების ფორმალიზმი CAD  
სისტემებში)**

**ლ.ბერიძე, ზ. კიკნაძე, მ. დინუაშვილი\***

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,  
არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი  
თბილისი, 0171, კოსტავას 71  
[leber007@mail.ru](mailto:leber007@mail.ru), [z kiknadze@yahoo.com](mailto:kiknadze@yahoo.com), [mziadin@mail.ru](mailto:mziadin@mail.ru)*

ქალაქგეგმარების თანამედროვე ეტაპზე ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა ახალი მშენებლობა, ჩამოყალიბებული მჭიდრო განაშენიანების პირობებში. საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ წამყვან მარეგლამენტირებელ ფაქტორად მიჩნეულია ინსოლაციის (მზის

ზემოქმედება) და ბუნებრივი განათებულობის საკმარისი დონის შენარჩუნება ადამიანის მუდმივსამყოფ ადგილებში. საკითხისადმი ინტერესის გაღვივება CAD სისტემების შემდგომი შესაძლებლობების განვითარებითა და სრულყოფითაა განპირობებული. კერძოდ, შეიდერების ახალი ვერსიებითა და დაპროექტებაში CAD სისტემების აუცილებელი დანერგვის ტენდენციებით[1, 2].

მნიშვნელოვანია გეომეტრიული გარდაქმნების გამოყენების კონცეპტუალური და პრაქტიკული ასპექტები CAD სისტემებში რეალიზებულ ალგორითმებში, რომელთა ადაპტაცია შესაძლებელია გარემოს ენერგეტიკული ზემოქმედების სფეროში არსებული პრობლემების კვლევისა და პრაგმატული ამოცანების გადასაწყვეტად, როგორცაა: ინსოლაციის, განათებულობის, სითბური გამოსხივების ეფექტის გამოკვლევა და დაჩრდილვის კონტურის განსაზღვრა[3]. შემოთავაზებულია ახალი პარადიგმა, კერძოდ, ფიზიკური მოვლენის გეომეტრიული ინტერპრეტაციით, თვალსაჩინოების შემცენებითი მნიშვნელობის ამალება, გეომეტრიული ფორმალიზაციის შედეგად ევრისტული, თუ მათემატიკურად მკაცრი მიგნებების სტიმულირება, ამის მაგალითია ავტორის მიერ შემოთავაზებული მოდელი - სფეროდ წარმოსახული ცის გუმბათისა და დაკვირვების წერტილიდან აგებული კონუსური ზედაპირის კვეთის მზის მოძრაობის ტრაექტორიად წარმოდგენისა და შემდგომ მისი ხილული ნაწილის (დროის ეკვივალენტური კვლის) გაზომვის მეთოდი[4].

CAD პაკეტებში არსებული ფოტორეალისტური ვიზუალიზაციის მეთოდები, შუქის წყაროების პროგრამული მართვის შესაძლებლობასთან ერთად, საშუალებას იძლევა

დამუშავდეს ჩრდილის ცვალებადობის მოდელირება და შეიქმნას შესაბამისი ანიმაციები[5].

### **რეზიუმე**

ხაზგასმულია გეომეტრიული გარდაქმნების მათემატიკური აპარატის და CAD სისტემებში გამოყენებული მოდელირებისა და ვიზუალიზაციის ხერხების, კერძოდ, შეიდერების ფორმალიზმის მნიშვნელობა გარემოს ენერგეტიკული ზემოქმედების სფეროში არსებული პრობლემების კვლევისა და პრაგმატული ამოცანების გადასაწყვეტისას.

### **Resume**

#### **Algorithms of Reflected of Environment Energetical influence on the Objects of Urban Development**

There is highlighted value of mathematical device of geometrical transformations and methods of simulators and visualization applied in CAD systems, in particular, meaning of formalism of shaders for researches and the decision of practical problems in field of power influence of an external environment.

### **РЕЗЮМЕ**

Подчеркнуто значение математического аппарата геометрических преобразований и формализма, применяемых в CAD системах средств моделирования и визуализации, в частности, шейдеров для исследований и решения практических задач в сфере энергетического воздействия внешней среды.

### **ლიტერატურა**

3. Бахарев Д.В оптический метод расчета естественного освещения /Светотехника. 1996. № 7..

4. Reyes algorithm. The reyes image rendering architecture. Computer Graphics (Proceedings of SIGGRAPH 1987) (Cook, R.L. Carpenter, L. Catmull, E.)
5. ლ. ბერიძე, ზ. კვიციანი, მ. დინუაშვილი. გეომეტრიული გარდაქმნების გამოყენება CAD სისტემებში რეალიზებულ გარემოს ენერგეტიკული ზემოქმედების ამსახველ ალგორითმებში. „ინტელექტუალი“, 8, 2009, გვ.7 .
4. მ. დინუაშვილი ბუნებრივი განათების მოდელირება CAD სისტემებში. “მართვის ავტომატიზირებული სისტემები“, 2(7), 2009, გვ.13.
5. Subsurface scattering Reflection from layered surfaces due to subsurface scattering. Computer Graphics (Proceedings of SIGGRAPH, 1993). (Hanrahan, P. Krueger, W.)

## თბილის-ქალაქი და ტრადიცია

*მარინე მაისურაძე*

*მისამართი: 0194, თბილისი, საბურთალოს ქ. # 59 ბ, ბინა 22;*

დღევანდელ თბილის-ქალაქს, უკვე XXI საუკუნეში გადასულს, მრავალი ახალი თუ ძველი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. დღეს სხვა პოლიტიკური სისტემის ზემოქმედებაა, სხვა ეკონომიკური კანონებია და თავისთავად ქალაქი სწორედ იმ ორგანიზმად გვევლინება, რომელიც ყველაზე აქტიურადაა ამ ცვლილებებში ჩაბმული. ქალაქის სტრუქტურაში, მისი ორგანიზმის სახეცვლილებისათვის, აუცილებელი ხდება გარდაქმნები, რათა ქალაქი ახალ საუკუნეში შევიდეს უფრო მეტად განვითარებული, მოქალაქეებით რაც თანამედროვე ქალაქებისათვის უპირველესი მოთხოვნაა.



ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია, რომლის სიცოცხლის უნარი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის უმთავრესი ადამიანია. ადამიანის (ამ ფენომენის) ფაქტორის გარეშე წარმოუდგენელია ქალაქის არსებობა. ისტორიულად თბილისის საცხოვრებელი გარემოს ჩამოყალიბებაში გათვალისწინებული იყო ყველაზე მთავარი ფაქტორი მოქალაქის სახით, რომელიც ცხოვრობდა და სიცოცხლისუნარიანს ხდიდა გარემოს, მოქალაქის თვითმყოფადი მოქმედებით ხორციელდებოდა ინდივიდის ჩამოყალიბება, ის კი, თავის მხრივ, გარემოს აყალიბებდა, განსაზღვრავდა ადამიანის სულიერ სამყაროს. ამ გარემოცვაში ყალიბდებოდა, როგორც ინდივიდი და ხდებოდა მისი ორგანული ნაწილი მოქალაქის სახით.

რა არის ხერხემალი იმ ტრადიციისა, რომელიც არ ზღუდავს ქალაქის მომავალი თაობის მიზანსწრაფვას სიახლისკენ და განაპირობებს ინდივიდის იმგვარადვე ფორმირებას, როგორც კლიმატი, ადგილმდებარეობა, რასა, ჩვევები და ა.შ. ეს არის მოქალაქის მიერ ქალაქის სივრცის, მუდმივი მოქმედების ცვლით, მუდმივი მოძრაობა, რომელსაც მხოლოდ გენეტიკური განახლების კოდით დამუხტული ქალაქი იძენს.

### ლიტერატურა

1. Architecture of Culture & Commerce : January – March, 2006;
2. Н. Малинин. Архитектура и среда. Штаб- квартира, осень, 2005.
3. მ. მაისურაძე. წარსულის ქალაქი და მის სივრცეში თანამედროვე საცხოვრებელი გარემოს როლი. კავკასიის მაცნე (სპეციალური გამოცემა 2). თბილისი, 2003 წ.

4. მ. მაისურაძე. თანამედროვე სამამულო პლასტიკა და არქიტექტურული სივრცის განცდა (თბილისი და მოქალაქე). თბილისი: ჟურნალი “სტილი” 9, 2003 წ.

5. მ. მაისურაძე. საცხოვრებელი გარემო – წარსული და დღევანდელი. ძველი თბილისის პრობლემა (კონფერენციის მასალები 29 მარტი, 2001წ). თბილისი, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი. 2001წ.

### **რეზიუმე**

სტატია მოიცავს საკითხს ქალაქის ინდივიდუალური განვითარებისთვის აუცილებელ ფაქტორებზე, მათ შორის უმთავრესზე - მოქალაქეზე. როგორ ხორციელდება ქალაქის სივრცეში მოქალაქის თვითმყოფადი მოქმედებით ინდივიდის ჩამოყალიბება; რომელიც, თავის მხრივ, აყალიბებს ქალაქის გარემოს; როგორც ინდივიდი, განსაზღვრავს ქალაქის სულიერ სამყაროს და მისი ორგანული ნაწილიხდება .

### **Tbilisi – City and tradition.**

**Author:** Marina Maisuradze

Today Tbilisi of XXI century with the recently changed political system and economic laws brought numerous new problems, that the present-day Tbilisi still has to solve. Successful transformation of city image requires certain amendments in its structure, so that now, at the verge of a new century, the city has to offer a larger choice of opportunities to its

inhabitants, which is the most essential of the demands, set to the modern cities.

A city is a living organism, the vital capacity of which depends on many factors, of which humans are the most important. Existence of a city without this “human factor” is inconceivable.

In Tbilisi, one of manifestations of this factor was division of the city into districts – independent habitats populated by a certain number of people with traditions their own. In the past every district was open to communication, which enabled each of its inhabitants to be fully aware of latest events and feel as its integral part. Districts formed personality types, which, in their turn, influenced on their home environment, so that groups of people, with their individual distinction and striving toward collectivism, used to be formed in different moulds and acquired the specific features, characterizing this or that district.

What is the cornerstone of the tradition, which gives city prospect for future modern development and enables formation of the individualism like climate, ethnicity, location, habits and so on – this is non-stop movement of city space by citizen, that only city with code of genetic renovation has the opportunity to gains.

### **Resume:**

This work addresses issues of main factors for the cities individual development, where human factor is the most important. Districts formed of personality types, which, in their turn, influenced on their home environment, so that groups of people, with their individual distinction and striving toward collectivism, used to be formed in different moulds and acquired the specific features, characterizing this or that district.

## Тбилиси – град и традиции

**Автор:** Марина Майсурадзе

Сегодня Тбилиси XXI столетия с недавно измененной политической системой и экономическими законами принес многочисленные новые проблемы, которые все еще должен решить современный Тбилиси. Успешное преобразование города требует определенных поправок в своей структуре, так, чтобы, в начале нового столетия, город предложил большой выбор возможностей его жителям-горожанам, что является самым существенным из требований.

Город - живой организм, жизнеспособность которого зависит от многих факторов, из которых самым важным люди являются. Существование города без “человеческого фактора” невообразимо.

В Тбилиси одним из проявлений этого фактора было разделение города на районы – независимые среды обитания, населенные определенным числом людей с собственными традициями. В прошлом каждый район был открыт для коммуникации, которая позволяла каждому из ее жителей полностью знать о последних событиях в районе. Районы сформировали типы индивидуальностей, которые, в свою очередь, влияли на их окружающую среду, так, чтобы группы людей, с их отдельным различием могли сформироваться в различных формах и приобретали определенные особенности, характеризуя этот или тот район.

Что является основной традиции города, которая дает перспективу современного развития и способствует формированию индивидуализма как климата: этническая принадлежность, местоположение, привычки и так далее – это - безостановочное развитие горожанина, так как только у города с кодексом генетической реконструкции есть возможность к развитию и к прибыли.

## Резюме

Работа касается проблемы главных факторов для городского развития - человека, где человеческий фактор является самым важным для перспективы современного развития города.

Районы сформировали типы индивидуальностей, которые, в свою очередь, влияли на их окружающую среду, так, чтобы группы людей, с их отдельным различием могли сформироваться в различных формах и приобретали определенные особенности, характеризую этот или тот район.

## ქართული არქიტექტურული სკოლის განვითარების პერსპექტივები

ლალი ხვედელიძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის*

*არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი*

*უწყვეტი განათლებისა და არქიტექტორთა პროფესიული  
განვითარების ცენტრი*

*თბილისი, 0171, კოსტავას ქ. 72.*

*E-mail : [Lalik77@yahoo.com](mailto:Lalik77@yahoo.com).*

ევროპული საგანმანათლებლო პოლიტიკის ბოლო დროის პრიორიტეტად მიჩნეულია უნივერსიტეტების გადაქცევა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უნივერსიტეტებად [1]. ამ

მიმართებით ევროპული რეკომენდაციები აისახა სტუის 2007–2011 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც[2].

UNESCO/UIA-ს არქიტექტურული განათლების ქარტია ასევე მიუთითებს: **„უნდა ჩამოყალიბდეს არქიტექტორთა პროფესიული განვითარების სისტემები**, რადგან არქიტექტურული განათლება არ შეიძლება ოდესმე განვიხილოთ, როგორც დასრულებული პროცესი, არამედ ესაა პროცესი, რომელიც გრძელდება მთელი სიცოცხლის მანძილზე“.

აღნიშნულ გადაწყვეტილებათა პასუხად და საბაზრო მოთხოვნათა გათვალისწინებით, სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე 2010 წლიდან ამოქმედდა **„უწყვეტი განათლებისა და არქიტექტორთა პროფესიული განვითარების ცენტრი“**. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ფაკულტეტის უწყვეტი საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზებას, საგანმანათლებლო ბაზრის სეგმენტის გაფართოებას, ზრდასრული მსმენელების - არქიტექტორებისა და სხვა სპეციალისტების, პედაგოგების, სტუდენტების ჩართვას საჭირო ინფორმაციის მიღებისა და ცოდნის მუდმივი განახლების პროცესში.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ უწყვეტი განათლების ინსტიტუციურ ერთეულებზე ზრუნვა თავად უნივერსიტეტის და მისი ფაკულტეტების პირდაპირი მოვალეობაა. განხილულია სამართლებრივი, საორგანიზაციო, დაფინანსების, საინფორმაციო უზრუნველყოფისა და სხვა პრობლემები, რომელთა მოგვარება აუცილებელია ამ სისტემის გამართული და წარმატებული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

წამოყენებულია რამდენიმე სადისკუსიო წინადადება სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე სწავლების ფორმებსა და სასწავლო პროგრამებში ცვლილებების შემოტანის შესახებ.

### ლიტერატურა

1. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში “მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის” სტრატეგია. თბილისი, 2010 წ.
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა. 2007–2011 წწ.  
[http://www.gtu.ge/pdf/str\\_Gegma.pdf](http://www.gtu.ge/pdf/str_Gegma.pdf)
3. გ. მიქიაშვილი, მ მილაშვილი. არქიტექტურული განათლების პერსპექტივა გლობალურ ჭრილში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 2009.
4. Benchmarking Flexibility in the Bologna Reforms:  
[www.eucen.org/beflex.html](http://www.eucen.org/beflex.html)

### რეზიუმე

განხილულია ქართული არქიტექტურული სკოლის განვითარების პერსპექტივები ევროპული საგანმანათლებლო პროცესების კონტექსტში, უწყვეტი განათლებისა და პროფესიული განვითარების სისტემის ფორმირების აუცილებლობა და ამ პროცესში წარმოშობილი მოსაგვარებელი საკითხები. წარმოდგენილია რამდენიმე სადისკუსიო წინადადება სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის

ფაკულტეტზე სწავლების ფორმების და ახალი სასწავლო პროგრამების შესახებ.

## **Resume**

### **Perspectives of Development of the Georgian Architectural School.**

There are considered perspectives the prospects of development of the Georgian architectural school in a context of the European educational processes, necessity of formation of system of lifelong learning and professional development of architects and the decision of the arisen questions. There are presented for discussing offers concerning modes of studying and new educational programs at faculty of architecture, urbanistics and design at the GTU.

### **РЕЗЮМЕ**

В докладе рассмотрены перспективы развития грузинской архитектурной школы в контексте европейских образовательных процессов, необходимость формирования системы непрерывного образования и профессионального развития архитекторов и решения возникших вопросов; представлены несколько дискуссионных предложений по поводу форм обучения и новой образовательной программы на факультете архитектуры, урбанистики и дизайна ГТУ.



## არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემების ზოგადი მიმოხილვა. რა შენდება და რა ინგრევა თბილისში?

მ.ფოჩხუა

*სტუ-ის არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტის,  
არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის დეპარტამენტი*

[marikapochkhua@yahoo.com](mailto:marikapochkhua@yahoo.com)

*თბილისი, 0171, კოსტავას 71*

თბილისი იცვლება, მშენებლობის პროცესი ხელისუფლების პიარკომპანიის ერთ-ერთი ფორმაა. რა შენდება და რა ინგრევა თბილისში? არის თუ არა ეს შეთანხმებული ქალაქის განვითარების ურბანულ სტრატეგიასთან? რამდენადაა დაცული ინფორმაციის საჯაროობის პრინციპი? როგორია პროფესიული არქიტექტურული კრიტიკა და რატომ ასოცირდება ხელისუფლების კრიტიკასთან?

ხშირად ქალაქგეგმარება და არქიტექტურა სახელმწიფოში გაბატონებული იდეოლოგიის გამომხატველი პროცესია; სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ ქალაქი ატარებს ყველა დროის ანაბეჭდს. ამ კუთხით არც თბილისია გამონაკლისი. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობა დღეს რომ ხელისუფლების პირდაპირი მართვის სფეროდაა გადაქცეული კარგიც არის და ცუდიც. კარგია, როდესაც მილიონობით ლარი იხარჯება სამშენებლო სამუშაოებისათვის, მაგრამ პრობლემა მაშინ იჩენს თავს, როდესაც პროცესი შესაბამისი პროფესიული და ზედამხედველობის სამსახურის არასრული მუშაობის ფონზე მიდის. შედეგის უპირატესობა მხოლოდ მატერიალურ მოგებას ენიჭება, რაც ქალაქის ურბანული განვითარების საქმეში გამოუსწორებელ შედეგს გვიქადის.

სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოების მიერ თბილისის ურბანული მემკვიდრეობა არ აღიქმება, როგორც კულტურული მემკვიდრეობა; ევროპისკენ ჩვენი ენერგიული სწრაფვის სტრატეგია გახდა თბილისში ტრადიციულობის ნგრევის და

პროვინციალიზმის თემის დამკვიდრების ანუ თბილისის პროვინციული „გამეგაპოლისების“ საფუძველი. უცხოურ ქვეყნებში ჩამოყალიბებული მშენებლობის პრინციპების, რეკონსტრუქციის ხერხების თუ მეთოდოლოგიური მიდგომების, სამამულო პრაქტიკაში გაუზარებელი გადმოტანა წარუმატებლობისათვისაა განწირული. ამაზე მეტყველებს დედაქალაქში მიმდინარე პროცესები: ქაოსური ბინათმშენებლობა, გადატვირთული ქუჩები და პროსპექტები, გაზრდილი სიმჭიდროვე ცენტრალურ უბნებში, უმოწყალოდ განადგურებული ლანდშაფტი, გაჩეხილი პარკები, აჭრელებული სახლები უგემოვნებო სარეკლამო აბრებით, ლითონის კონსტრუქციის გადასასვლელით დამახინჯებული გარემო, უმისამართო, მოსიარულე ქანდაკებები, რომლებიც რატომღაც აღმოცენდებიან და მალევე ქრებიან, მასშტაბდარღვეული, ქალაქის სიმბოლოდ ქცეული თავისუფლების მოედანი, პირქუში, მდუმარე მინის მოცულობები და ერთიათად დამძიმებული ეკოლოგიური მდგომარეობა.

ქალაქი საზოგადოების მოდელია. ჩვენი სურვილის მიუხედავად ურბანული საქმიანობა მოიაზრება სამთავრობო პროცესების განვითარების კონტექსტში. არასასიამოვნოა, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მნიშვნელოვნად აბრკოლებს პროფესიული არქიტექტურული კრიტიკის განვითარებას.

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემათა საერთო სპექტრში აქტუალურია მოსახლეობის მონაწილეობა ხარისხი ქალაქთმშენებლობითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც ცივილური ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებულ ნორმად იქცა.

## ლიტერატურა

1. ვლ. ვარდოსანიძე. მოსახლეობის მონაწილეობა ქალაქის განვითარების პროცესში. თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების მეთოდოლოგიური პრობლემები. წიგნი I, 2003 (ქართულ ენაზე).

2. ვ. დავითაია. არქიტექტორები არქიტექტორების წინააღმდეგ. გაზეთი “ყველა სიახლე“, 17.12.2009.
3. გ. გვახარია. ურბანული განვითარების ხედვა და თბილისის ახალი გენგეგმა. რადიო „თავისფლება“, 2010.
4. ნ. კობერიძე. მუტანტი სახელმწიფოს მუტანტი არქიტექტურა. გაზეთი „ახალი 7 დღე“, 26.03.2010.

## **რეზიუმე**

განხილულია თბილისში მიმდინარე პროექტები და ბოლო წლების ახალი მშენებლობები; პროფესიული არქიტექტურული კრიტიკის თანამედროვე ტენდენციები და პრობლემები; ურბანული ცვლილებები სახელისუფლებო პროცესების განვითარების კონტექსტში; ინფორმაციის საჯაროობის პრინციპის აქტუალური მხარეები და მათი უცხოური ანალოგები.

## **Резюме**

Рассмотрены текущие проекты и новое строительство последних лет: современные тенденции и проблемы профессиональной архитектурной критики; урбанистические изменения в контексте государственных процессов; актуальные стороны общественного принципа информации и, под этим углом зрения, иностранные аналоги.

## **Resume**

### **Common Review of Contemporary Problems of Architecture and City-Building**

There is discussed current projects and new developments in Tbilisi in recent years, current trends, problems, and criticism of professional architecture in the context of urban development derived from changes within the government; accessibility of the information to the public from all important angles and equivalent foreign analogies.